ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

16 (9956) • 1 maisi • 2012 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

საკრებულოს სხდომაზე

გაზეთი „ალიონი“

საკრებულოს სხდომაზე რამდენიმე საკითხი განიხილეს. პირველი საკითხად „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე“–იმსჯელეს. საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ლია ქათამიძემ წარმოადგინა.

შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა 15 000 ლარით უნდა გაიზარდოს; გარდა ამისა 2000 ლარი საცხენოსნო კლუბ „მარულას“ გადაეცემა, 1400 ლარი– სახანძრო დაცვის სამსახურს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 550 000 ლარი გამოეყოფა მერია-ლაითურის დამაკავშირებელ გზაზე ხიდის მშენებლობას; ხოლო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 760 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც ქ. ოზურგეთის ცენტრალური ქუჩების კაპიტალური შეკეთებისათვის 789 000 ლარი გამოიყო; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი სახლების რემონტზე–274 000 ლარი; ქ. ოზურგეთში ცენტრალურ ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილის აღდგენისათვის–88 700 ლარი; მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობაზე-113500 ლარი; ოზურგეთის №3 ბაღის რეაბილიტაციაზე–268 100 ლარი; ხოლო მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციაზე 180 400 ლარი.

განიხილეს „მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების და დამატებების“ და „2011 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.“

ალეკო მამეშვილმა შენობების გადახურვაზე, დონორების მოძიებაზე და ინფრასტრუქტურის მოწყობაზე ისაუბრა.

ჯერ კიდევ პირველი საკითხის განხილვის დროს, დააყენა დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ საკითხი, მუნიციპალიტეტის შენობაში გადაადგილების თაობაზე.

–დაცვის პოლიცია შენობაში შესვლაზე დეპუტატისაგანაც ითხოვს მუდმივ საშვს. დეპუტატი „ვარსკვლავების“ თემასაც შეეხო.

–ვინ წარადგინა „ვარსკვლავების“ კანდიდატები სამინისტროში? –იკითხა მან.

–ჩვენ არ წარგვიდგენია, თავად კულტურის სამინისტრომ წარადგინა–გასცა პასუხი საკრებულოს თავმჯდომარემ.

როცა უშუალოდ საკითხის განხილვაზე მიდგა ჯერი, მელექედურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ ხინთიბიძემაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის შენობაში შემოსვლ-

გვ-2

სკოლის დირექტორი, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად გასულ არჩევნებს ასახელებს

ნინო ნიკოლაიშვილი

–ტენდენციებს რომ არ ვხედავდე, მაშინ არ შეგაწუხებდით, – ასე დაიწყო მელექედურის საჯარო სკოლის ყოფილმა დირექტორმა **ნათელა თოხაძემ** დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართული პრესკონფერენცია და სამსახურიდან გათავისუფლების მთავარ მიზეზად ბოლოს მაინც მისი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები დაასახელა. მისი თქმით, ყველაფერი იქედან დაიწყო, რაც მისი და სოფლის ყოფილი გამგებლის შეხედულებები გაიყო.

–„ 2012 წლის 19 მარტს ჩვენს სკოლაში გენერალური ინსპექცია შემოვიდა. აინტერესებდათ სტრუქტურული ერთეულების მუშაობა, წაიღეს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები. რასაც ითხოვდნენ, ყველაფერი მივაწოდეთ, გარდა ორისა, რომელიც ვერ ვნახეთ. სხდომის ოქმებში არ არის დაფიქსირებული კენჭისყრის შედეგები. მისი დასკვნის საფუძველზე 4 აპრილს სამეურვეო საბჭოს სხდომა გაიმართა. რათა შეწყვეტილიყო ჩემი უფლებამოსილება. საბჭოს 7 წევრიდან, სხდომას 5 ესწრებოდა. მათ შორის ჩემს გათავისუფლებას ხელი ოთხმა მოაწერა. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ არ მოაწერა ხელი. თუმცა შემდეგ ეს ოქმი რესურს-

გვ-2

ოზურგეთში მეეზოვის დღე აღინიშნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურში 30 აპრილს მეეზოვის დღე აღნიშნეს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალეკო მამეშვილმა ეს დღე ყველა მეეზოვეს მიულოცა, ამ დღეს დაბადებულებს გურამ ჭელიძეს და ოგანეს ოქროიანს სპეციალური საჩუქრებიც გადასცა და შამპანურითაც დალოცა.

–ამ დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით სათანადო დოკუმენტი გაფორმდება და იგი ყოველწლიურად აღინიშნება– განაცხადა მამეშვილმა.

ახალი აღმოჩენა–ამჯერად ჩოლოქის შესართავთან

ნუგზარ ასათიანი

ამ რამდენიმე დღის წინ, მდინარე ჩოლოქის შესართავთან, ზღვის სიღრმეში მეთევზეებმა შემთხვევით ძველი ხომალდი აღმოაჩინეს, რომელიც დიდი სენსაციის საფუძველი შეიქმნა. ამ აღმოჩენის შესწავლას უკვე შეუდგა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის (დირექტორი, პროფ. ამირან კახიძე) ექსპედიცია, რომელიც საამისოდ გამოიყო და უკვე ჩაატარა ისეთი სამუშაოები, რომ გაერკვია ხომალდის ჩაძირვის დრო. იგი დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნით დათარიღდა,–ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა იური სიხარულიძემ აცნობა.

ბატონი იურის ინფორმაციით, ხომალდის შესწავლასა და ამოღების თაობაზე საგანგებო სამუშაოები მზადდება. რომაული ხომალდი ჩოლოქის შესართავთან დაახლოებით 100 მეტრ სიღრმეზეა ჩაძირული და მასზე არეოლოგებმა ამ ეტაპზე რამდენიმე საყურადღებო ნივთიც აღმოაჩინეს.

მისივე თქმით, II საუკუნეში გარკვეული ურთიერთობა იყო დასავლეთ საქართველოსა და რომაელებს შორის, რომელთა ჯარები შავი ზღვის აღმოსავლეთით, სანაპირო ციხე-სიმაგრეებში იდგა. ამ ჯარების ინსპექტირებისათვის რომმა ამ პერიოდში, მოავლინა ისეთი დიდი მოხელე, როგორიც იყო კაპადოკიის მმართველი ფლავიუს არიანე. არიანემ შემოგვინახა თავისი მოგზაურობის ბრწყინვალე აღწერა,–„მოგზაურობა შავის ზღვის გარშემო,“ რომელიც უნიკალური წყაროა დასავლეთ საქართველოს ისტორიისასთვის II საუკუნეში

საუკუნენახევრიანი თეატრის ისტორიადქცეული დღე

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის საზოგადოება, მოწვეული სტუმრები თეატრალური ხელოვნების ზეიმის თანამონაწილენი გახდნენ 27 აპრილს. დამსახურებული ქორეოგრაფის ჯუმბერ დუნდუას ვარსკვლავს სამი შემატა. ვარსკვლავები საქართველოს სახალხო არტისტის გაბრიელ მდინარაძის, საქართველოს დამსახურებული არტისტის ამირან ქადეიშვილისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვასილ ჩიგოგიძისა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნა ნ. დუმბაძის (ინსცენირება კ. ნინიკაშვილის) „გამარჯობა, ხალხო“

გვ-3

7 დღის ამინდის პროგნოზი

1 მაისი	2 მაისი	3 მაისი	4 მაისი	5 მაისი	6 მაისი	7 მაისი
მზე, ღრუბელი	მზე	წვიმა	მზე, წვიმა	წვიმა	წვიმა	მზე
+11+21	+14+23	+14+20	+15+19	+13+22	+13+21	+14+22
სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი

საკრებულოს სხდომაზე

აზე პრობლემა შეექმნა. მუშაობს საზოგადოებრივი მისაღები, მაგრამ ერთ-ერთი მხცოვანი მელექედურელი ქალბატონი რიგში 96-ე იყო. მისი რიგი მოახლოებული იყო, რომ ცუდად გახდა და წაიქცა!

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის თამაზ ტრაპაიძის აზრით, აქტი მიღებული იქნა სპონტანურად, იგი საკუთარ სახლში დეპუტატების შესვლას არ უნდა არეგულირებდეს. მუნიციპალიტეტის შენობაში მინისტრებს მეტი უფლებები აქვს, ვიდრე დეპუტატებს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია ვაშაყმაძემ აღნიშნა, რომ ადრე გამგეობაში ბევრი ადამიანი შემოდიოდა. მისაღებში მდგომი ერთ-ერთი ქალბატონი თმებში წვდა გამგეობის თანამშრომელს, იმის გამო, რომ ,,სად მიდიხარ, ჩემი რიგი არისო.“ ახლა შენობაში სიმშვიდეა.

—იმდენი ხალხი დაასაქმეთ, შენობაში შემოსულ ყველა მოქალაქეს გამყოლად ეყოფა—რეპლიკა შეაგება გამგებელს ლელა ნაცვალაძემ.

ალეკო მამეშვილმა აღნიშნა, რომ ახალი სისტემა არავის არ შეუქმნის დისკომფორტს და საზოგადოებრივ მისაღებში საშვის აღება უმოკლეს დროში მოხდება, ამისათვის იქ დამატებითი თანამშრომლებია მობილიზებული...

საკრებულოში გამართული პოლემიკა დასრულდა. დერეფანში გავიგონეთ დეპუტატ ლელა ნაცვალაძის მორიგი რეპლიკა:—ოზურგეთში ვარსკვლავს თუ ხსნიდით, პირველ რიგში ანზორ ერქომაიშვილისთვის უნდა გაგეხსნათ იგი. გყავთ ვინმე უკეთესი?

ხელისუფლების პოზიცია საშვის შემოღებასთან დაკავშირებით ურყევია

ნუგზარ ასათიანი

2003 წლის ნოემბერში ,,ვარდების რევოლუციის“ მომდევნო დღეებში ახალმა ხელისუფლებამ მთავრობის სახლის გარშემო რკინის მესერი მოხსნა და განაცხადა, რომ ხელისუფლებას და მოსახლეობას შორის ბარიერები აღარ იქნებოდა. ადრე ხელისუფლება იცავდა თავს ხალხისაგან, ახლა ხელისუფლება დაიცავს ხალხს...

როდესაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში შესვლაზე საშვი შემოიღეს, სწორედ ზემოთქმული ამოტივტივდა გონებიდან. პირველი, რამაც დამაინტერესა, ის იყო, გამეგო, თუ ეს შეზღუდვა მარტო ოზურგეთში ხდებოდა, თუ სხვა მუნიციპალიტეტებიც.

ჩვენს ფოთელ კოლეგას ლაშა ზარგინავას დავუკავშირდი:

—ერთ პერიოდში ასეთი შეზღუდვა იყო ფოთის მუნიციპალიტეტშიც, მაგრამ არ გაამართლა, მას ხალხის მწვავე რეაქცია მოჰყვა და მალევე გაუქმეს,—გითხრა მან.

მსგავსი პრეცედენტი არც სამეგრელოს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონების რიგ მუნიციპალიტეტებში დადასტურდა. მხოლოდ სამეგრელოს მთავარ ქალაქ ზუგდიდის გამგეობაში ყოფილა მოქალაქეთა გადაადგილებაზე საშვი შემოღებული.

ოზურგეთის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, გურიის სამხარეო და ოზურგეთის მუნიციპალიტის წარმომადგენლები მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

საია-ს ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის თამაზ ტრაპაიძის თქმით, შეხვედრის მიზანს შეადგენდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტს მიღებული №52 ბრძანება მოქალაქეთა მიღების მიზნით, განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე და რამდენად ლეგიტიმური იყო იგი.

ტრაპაიძის თქმით, ბრძანება ნაჩქარევად იყო მიღებული, რაც კონტროლის პალატის მიერ მოქალაქეების დაკითხვებს უკავშირდებოდა და მისი აზრით, იგი უფრო გვიან იქნა მიღებული, ვიდრე გატარდა.

საკრებულოს იურისტმა ლაშა თავაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ თემაზე პროექტი მზადაა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო განხილვის გარეშე გავა საკრებულოს სხდომაზეო.

გურიის სამხარეო ადმინისტრაციის აპარატის უფროსმა ისაკ ლომთათიძემ მუნიციპალიტეტის შენობაში შეზღუდვის შემოღება მოქალაქეთა ეკონომიკურ საქმიანობას დაუკავშირა:

—შეიზღუდა ცალკეულ პირთა პარპაში. შეიზღუდა ზოგიერთი მოქალაქის ეკონომიკური საქმიანობა. საშვთა სისტემა მოქალაქეთა ქცევის ნორმებს აწესრიგებს. სოფლებიდან ჩამოდიოდნენ მოქალაქეები და რა საკითხზე იყვნენ მოსული არ იცოდნენ. ყოფილა შემთხვევა, დამისვამს დერეფანში მობოდიალე ადამიანისთვის კითხვა: რას დაბოდიალობ ქალბატონო დერეფანში? ხშირად შემოდიოდნენ ცალკეული მოქალაქეები ,,ორიფლეიმის“ ჟურნალებით და ქვაბებით ,,პილმენებიც“ კი შემოჰქონდათ...

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე პეტრე სალუქვაძემაც დაადასტურა, რომ მასთან მოქალაქეები ხშირად მიდიოდნენ ოჯახის წევრებთან ერთად, დერეფანში იყო რიგი და ხელი ეშლებოდათ მუშაობაში. არსებული მოქალაქეთა მისაღები აადვილებს ხელისუფლებასთან მოქალაქეთა ურთიერთობებს.

თამარ კუპრაძემ (დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი) დასვა კითხვა, რომ ხომ არ არის შემთხვევები, რომ ადამიანებს პოლიტიკური ნიშნის მიხედვით არჩევენ? ხომ არ არის ეს ხელისუფლების საზოგადოებისაგან გაუცხოება?

ჟურნალისტმა ეკა მგელაძემ განაცხადა, რომ მუხედავად იმისა, რომ ნორმალურ ურთიერთობაში არის ხელისუფლებასთან, გადაადგილების ამ წესის გამო ხელი ეშლება მუშაობაში. მან გამოთქვა აზრი, რომ მოხდეს ჟურნალისტთა აკრედიტაცია.

საკრებულოს სხდომაზე ამ თემაზე მსჯელობა გაგრძელდა. ოპოზიციონერ დეპუტატ ლელა ნაცვალაძის რეპლიკები საკრებულოს უმრავლესობამ არ გაიზიარა (ჩუმ-ჩუმად რამდენიმე დეპუტატის ,,წაბურდღუნების“ გარდა). საკრებულომ ბრძანება მცირე ცვლილებით ძალაში დატოვა, გარდა საკრებულოს სხდომების და კომისიების სხდომების დღეებისა, თავად დეპუტატებსაც კი მოუწევთ შენობაში საშვით შესვლა და არც ჟურნალისტების აკრედიტაციის თემა გადაწყდა დადებითად.

თუ როგორ იმუშავებს მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა გადაადგილების ახალი სისტემა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

სკოლის დირექტორი, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად გასულ არჩევნებს ასახელებს

ცენტრში შემდგომ შეცვალეს და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს **მამია თოხაძესაც,** მათ იურისტთან ერთად ახალ ოქმზე მოაწერინეს ხელი იმ მოტივით, რომ ხელს თუ არ მოაწერდა, ახსნა-განმარტებებისთვის არბენინებდნენ აქეთ-იქეთ. მათ ერთ ადამიანსაც კი არ დაუტოვეს უფლება, გამოეხატა საკუთარი აზრი. მე არ ვამბობ, რომ არ მქონდა შეცდომები, მაგრამ მსგავსი რამ თითქმის ყველა სკოლაშია და არც ერთი სკოლის დირექტორი ამის გამო არ გაუთავისუფლებიათ. საკითხავია, ეს შეცდომები იყო, თუ დანაშაული.“

ამონარიდი ახალი ოქმიდან: — ,,მოისმინეს: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ მამია თოხაძემ განმარტა, რომ სხდომას ესწრებოდა სამეურვეო საბჭოს ხუთი წევრი და იგი უფლებამოსილია დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად. ასევე განმარტა, რომ სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მელექედურის საჯარო სკოლაში 2012 წლის 3 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტიდან შემოსულია №07-2-02/21334 30/03/2012წ. წერილი, რომელსაც თან ერთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ, მელექედურის საჯარო სკოლის დირექტორის ნათელა თოხაძისთვის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“.

— თქვენ თვლით, რომ თქვენს გათავისუფლებას პოლიტიკური სარჩული უდევს?

—მიმაჩნია, რომ ასეა. 4 მარტს დამირეკა ირინა ინარიძემ და მკითხა, -შენ სადმე აფიქსირებ თუ არა შენს პოლიტიკურ შეხედულებებს? ჩემი პასუხის შემდეგ კვლავ მკითხა, მაშინ რატომ არ წახვედი გამგებელთან შეხვედრაზე, სოფელში რომ იყო ამოსული. თუმცა მას ეს არ უთქვამს ნიშნისმოგებით. თურმე იმ შეხვერდაზე ვინც ესწრებოდა, ყველას ხელი მოაწერინეს. მაგრამ, ყველაფერი ეს მაინც უკავშირდება წინა არჩევნებს. მე ლევან კილაძის კანდიდატურა მივაწოდე, მაგრამ ლენა ქადეიშვილმა შეაცვლევინა. შემდეგ მთელმა სოფელმა იბრძოლა, რომ მისი კანდიდატურა არ გასულიყო, ჩვენ ამჟამინდელ დეპუტატს დავუჭირეთ მხარი. გვინდოდა ხელისუფლებას დაენახა, რომ სოფელში ამ ქალის გარდა სხვებიც არიან.

გაკვირვება ვერ დამალა, როცა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დავუსვით კითხვა.

—ვიცი, ეს საიდანაც მოდის. მე მაღალი ქულებით ჩავაბარე დირექტორობის გამოცდა. მივიტანე ჯანმრთელობის ცნობაც. ადრე შემეყარა ტუბერკულოზის მსუბუქი ფორმა, მაგრამ ვიმკურნალე. იმ პერიოდში სკოლაში არც მივლია.

— ლენა ქადეიშვილი თქვენი მხარდამჭერი იყო.

—ყველაფერი იქედან დაიწყო, რაც ჩვენი შეხედულებები გაიყო, გვიპასუხა მან.

ამ მოვლენის პოლიტიზირების ეჭვს გამოთქვამს ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის წარმომადგენელი **ლევან მუავანაძე:**

— ეჭვი ჩნდება, რომ ეს არის პოლიტიზირებული პროცესი. ქ-ნ ნათელას დირექტორთა გამოცდა მაღალი მაჩვენებლებით ჩაბარა. გადალახული აქვს 20%-იანი ზღვარი. ასეთი დირექტორები დასაკარგი არაა. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სკოლის წარმატებებიც. ხშირად სკოლის დირექტორებისა და პედაგოგების გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით ხდება. ეს განათლების სამინისტროს პრეროგატივაა. რითაც ჩანს, რომ სკოლა ცენტრალიზებულია.

ლელა ნაცვალაძემ კოტე შარაშენიძეს „ვითომ ოპოზიციონერი“ უწოდა

მარი კოკოევი

ლელა ნაცვალაძემ ,,ქართული ოცნების“ ოფისს ოზურგეთში ნაციონალური მოძრაობის ფილიალი უწოდა. მან გუშინ, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე ოფისის ხელმძღვანელს, კოტე შარაშენიძეს ხელისუფლებისაგან „ხელდასმული", გუშინდელი ,,პოლიტიკური ბარტყი“ და ,,ვითომ ოპოზიციონერი“ უწოდა. თქვა, რომ ოზურგეთის მოსახლეობა აგროვებს ხელმოწერებს იმისთვის, რომ კოტე შარაშენიძე აღარ იყოს ოფისის ხელმძღვანელი. ნაცვალაძის ინფორმაციით, 500-მდე ხელმოწერა უკვე შეგროვებულია. მისი თქმით, მუხტი, რომელიც მოსახლეობაში იყო, ახალი ძალის გამოჩენის შემდეგ, შარაშენიძის დანიშვნის გამო შემცირდა.

— „მივიღეთ ერთი მხრივ, ხელისუფლება, რომელიც აქტიურ ზეწოლას ახორციელებს მის ამომრჩეველზე, მეორეს მხრივ იმედი, რომელიც მოსახლეობას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით გაუჩნდა, კონკრეტულად ამ შემთხვევაში არის ფუჭი. მე არ ვლაპარაკობ ამას, როგორც ბიძინა ივანიშვილის მოწინააღმდეგე, პირიქით, მე არ ვარ კოალიციის წევრი, მაგრამ ვარ მხარდამჭერი. პირველივე დღიდან, პირველივე დაფუძნებაზე, მე ვიყავი მათთან მიწვეული“-განაცხადა საკრებულოს დეპუტატმა ნაცვალაძემ.

ნაცვალაძემ აღნიშნა, რომ ოფისის ხელმძღვანელის პოსტზე კოტე შარაშენიძის გარდა ოზურგეთიდან იხილებოდა ცხრა კანდიდატურა და მათ შორის თავადაც იყო.

—„ცხრა კანდიდატურა იყო, მაგრამ კოტეს ვიღაც წონიანმა ფიგურამ გაუწია რეკომენდაცია. ბიძინა ივანიშვილი და მისი გარემოცვა შეცდომაში შეიყვანა ვიღაცამ“-თქვა მან.

კოტე შარაშენიძეს ჯერ-ჯერობით საპასუხო განცხადება არ გაუკეთებია.

„ამ გათვლებით კოლეჯის დამფუძნებელი და მფლობელი გახდება ბენდუქიძე“

მარი კოკოევი

—„სულ ცოტა ხნის წინ, პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი" გარემონტდა და პომპეზურედ გაიხსნა. სასახარულო ფაქტია რაიონში პროფესიული სასწავლებლის არსებობა, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ახალგაზრდების მიგრაციის დონე არის მაღალი. აღნიშნულ სასწავლებელში დასაქმებულია 30 თანამშრომელი და საწავლებელ მოემსახურება 220-250 სტუდენტს. აღსანიშნავია, რომ გახსნის დღიდან ის ექვემდებარებოდა განათლების სამინისტროს, ხოლო სულ რაღაც ერთი კვირის წინ ის გარდაიქმნა ა.ი.პ.-ად. გახსნის დღეს გაჟღერდა განათლების მინისტრის მხრიდან, რომ კოლეჯი და ა.ი.პ. „საქართველოს განათლების აგრარულ უნივერსიტეტი,“ მჭიდროდ ითანამშრომლებდნენ. თუმცა შემდგომ გაფორმებული შეთანხმება განათლების სამინისტროსა და

აგრარულ უნივერსიტეტს შორის გულისხმობს, რომ პროფესიული კოლეჯების ერთადერთ დამფუძნებლად მომავალში აგრარული უნივერსიტეტი მოგვევლინება. ეს ჩვენთვის ნაცნობი პრაქტიკაა" -განაცხადა ,,თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თემურ სალუქვაძემ და მაგალითად ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინტიტუტი მოიყვანა, რომელიც აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში შევიდა.

სალუქვაძის თქმით, არის საშიშროება, რომ ამ გათვლებით კოლეჯის დამფუძნებელი და მფლობელი გახდება ბენდუქიძე და მის სურვილზე იქნება დამოკიდებული სასწავლებლის ბედი. ამიტომ არ არის გამორიცხული, დადგეს სასწავლებლის გადატანის საკითხი და აღნიშნული ადგილი გამოყენებული იქნას უფრო მომგებიან ობიექტად.

—„მართალია ეს არის ჩვენი ეჭვი, მაგრამ დამერწმუნეთ, არსებული პრაქტიკა ამ ეჭვის გამართლების დიდ საფუძველს იძლევა“— განაცხადა სალუქვაძემ.

საუკუნენახევრიანი თეატრის ისტორიადქცეული დღე

თეატრის მმართველმა ზაზა ჯინჭარაძემ ვარსკვლავოსანთა წარდგენის შემდეგ სცენაზე თეატრალური საზოგადოება მოიხმო. მადლიერება გამოხატა ჩინოვნიკთა თანადგომის გამო. აქ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქიდან თუ რეგიონიდან, უცხოეთიდან (ესპანეთი, ლიტვა, უკრაინა) წარმოდგენილი იყვნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის დამსახურებული ადამიანები. ისინი თავიანთ უდიდეს პატივისცემას ადასტურებდნენ თითქმის საუკუნენახევრის თეატრისა და იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით საინტერესო ფურცლები ჩაწერეს ოზურგეთის თეატრის ისტორიაში.

საღამოს მთავარი მოქმედი პირნი და წარმოდგენილი საზოგადოება დალოცა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა მეუფე იოსებმა.

ანზორ ერქომაიშვილი, გოგი ქავთარაძე, გულღია სალუქვაძე, ზაზა ხალვაში, ვალერი ჩიტაიშვილი, მაკა საჯაია...

— ეს არის მადლიერების გამოხატვა თქვენი დამსახურების წინაშე — მათი ასევე მთავარი სათქმელი იყო საუკეთესო სურვილებთან ერთად.

მისთვის დამახასიათებელი სიტყვაქარგულობით გაიხსენა ვასილ ჩიგოგიძემ ოზურგეთის თეატრში მისი ადრინდელი მოღვაწეობა. მადლობა გადაუხადა ყველას ღვაწლის დაფასებისთვის. კვლავ ააჟღერა „ჭადრების ბაღში“ საერო ზარის აღდგენის თემა,. რასაც ნამდვილად ეწნება ხიბლი ჩვენი ქალაქისთვის,რომელსაც იქვე ახლოს, ახლადგათხრილი უძველესი ქვადწერილი ფურცლები ისტორიისა ამოჰღაღადებენ, ვინ ვიყავით და ვინად უნდა დავრჩეთ.

— არ მინდა საქართველო აფხაზეთის გარეშე წარმოვიდგინოთ. მე დღეს აფხაზეთს წარმოვადენ. ამ ემოციური სიტყვების შემდეგ მსახიობმა დიმა ჯაიანმა მუხრან მაჭავარიანის ლექსი წაიკითხა — „თუ ფიქრობს ვინმე გავკმინდოთ ენა, შენც არ მომიკვდე, არა და ვერა... ახლა კი დროა, სოლომონ, რომ, კვლავ დაიქუხოს საქართველომა“. ჩვენს შეკითხვაზე — რას გულისხმობთ, მეთქი, — ახალი სისხლის გადასხმას ვგულისხმობ, რომელიც ასე ძალიან სჭირდება ჩვენს ქვეყანას და მჯერა, მალე საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს.

სიხარულის ემოციით იყვნენ დატვირთულნი ბატონი გაბო და ბატონი ამირანი. უამრავი თაყვანისმცემლით გარშემორტყმულნი, მადლობას უხდიდნენ საზოგადოებას ამ სიყვარულისთვის.

— მე სხვა რამ სიზმარი ამ მქონია ამ ხნის მანძილზე, ოზურგეთის თეატრი მესიზმრება. მზად ვარ ნებისმიერი როლი ვითამაშო აქ, ჩემს გაბოსთან და ჩემს დანარჩენ კოლეგებთან ერთად, — აღნიშნა ამირან ქადეიშვილმა.

ვარსკვლავთცვენა ოზურგეთსაც ეწვია

2012 წლის აპრილი დიდხანს დარჩება ქართული ქორეოგრაფიის და სათეატრო ხელოვნების მოყვარულთა უბადლო ზეიმად გურიის გულში.

ქორეოგრაფიის ისეთი აზვირთება, რაც მაყურებელმა იხილა, მართლაც გამორჩეული გახლდათ. ეს არ იყო რომელიმე პერიფერიული ქალაქის ნაძალადევი ხელოვნება. ეს იყო ისტორიის სიღრმიდან მომდინარე ჭეშმარიტი ხალხური ხელოვნების ზეიმი, რომელსაც დიდი ოსტატობით წარმართავდა თანამედროვე ქორეოგრაფიის დიდოსტატი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჯუმბერ დუნდუა, რომელსაც ძალასა და აზრს მატებდა ისტორიის გუგუნი, რომელიც წარსულიდან მოისმოდა. სწორედ ამან, მისმა ნიჭიერებამ და ტრადიციების სრულყოფილად შერწყმამ განაპირობა ის დიდი წარმატება, რომელიც ჯ. დუნდუასა და მის აღზრდილებს ერგოთ იმ დღეს.

* * *

თანამედროვე გურიას ერთადერთი მოქმედი სახალხო არტისტი ჰყავს. ის გაბრიელ მდინარაძე ბრძანდება. ოთხოცდამეხუთე წელში ფეხშედგმული ვარსკვლავის მფლობელი ხელოვანი დღესაც დიდი მხნეობით იღვწის და მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებს კვლავ ახალ-ახალი სასცენო სახეებით გახარებით აიმედებს.

* * *

თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მსახიობი ამირან ქადეიშვილი კარგახანია თავისი შემოქმედების ზენიტში დგას და სანუკვარმა ვარსკვლავმა ეს სიმაღლე ათასფერად ააბრიალა.

* * *

ასევე დიდ სათეატრო მამითადს წარმართავს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვასილ ჩიგოგიძე. ვარსკვლავის გახსნაც თავისი დაბადების დღეს დაემთხვა.

ენერგიული და უნარიანი მოღვაწე კვლავაც თავის სტიქიაშია და ის თეატრებიც, რომლებშიც ის მუშაობს, მისგან ახალ-ახალ წარმატებებს მოელის.

იური სიხარულიძე,
პროფესორი

ჩემი გულისტკივილი

აგრარული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების მიზნით ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ჩატარდა თანამშრომელთა ეტაპობრივი შემოწმება. საბოლოო საფეხურს წარმოადგენდა მეცნიერ-მუშაკებთან გასაუბრება თავისუფალ უნივერსიტეტში, რის შემდეგაც ჩვენი ინსტიტუტის დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გარკვეული კატეგორიის ხალხის განთავისუფლების შესახებ. შედეგად მიღებულ იქნა ინსტიტუტის გაუგებარი მოდელი, რომელშიც ფაქტობრივად ლიკვიდირებულია სამეცნიერო საქმიანობის წარმმართველი ბიოქიმიის, ტექნოლოგიისა და ახალი სახის პროდუქტების და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ლაბორატორია, მაშინ როცა შემცირება ფაქტობრივად არ შეხებია მექანიზაციისა და სხვა ლაბორატორიებს. საინტერესოა, რა კრიტერიუმებით სარგებლობდა აგრარული უნივერსიტეტის უფლებებით მოსილი კომისია მეცნიერ-მუშაკთა შეფასებისას. რატომ ეთქვა უარი ისეთ ადამიანებს, რომელთაც უჭრიდათ ჭკუაც და კალამიც, გააჩნდათ უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი და ვის მხრეზედაც გადადიოდა ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა. რატომ მოუწყვეს გენოციდი ისეთ ადამიანებს, რომელთაც საკუთარი მხრებით მოიტანეს დღემდე წარსულში სახელოვანი ტრადიციების მქონე, მაგრამ ამჟამად პატივაყრილი, შეურაცყოფილი და განადგურებული ინსტიტუტი. რა არ მოეწონათ ამ ადამიანების, ინტელექტი, პროფესიონალიზმი თუ თავდადება საყვარელი საქმის მიმართ? განთავისუფლდა ისეთი ხალხი, რომლისთვისაც ინსტიტუტი წარმოადგენდა მათი ცხოვრების არსს, ისეთებიც, რომელთაც პირადი ცხოვრებაც კი შესწირეს მას. მაგრამ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დარჩა ისეთი ხალხი, რომელიც არ ყოფილა გასაუბრებაზე, არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას და საერთოდ გაუგებარია მათი როლი ინსტიტუტში.

უპირატესობა მიენიჭათ ისეთ ადამიანებს, რომელთაც სხვების ხარჯზე ძალზედ იოლად მიაღწიეს ყველაფერს, ვერ ჩამოყალიბდნენ მეცნიერებად, ვინაიდან საკუთარი ხელით არ გაუკეთებიათ დისერტაციები, არ არიან ნამყოფი ლაბორატორიაში, არ ჩაუტარებიათ ანალიზები, ამოტომაც ვერ ფლობენ კვლევის ელემენტარულ მეთოდებს, არიან არშემდგარი აკადემიური დოქტორები, მაგრამ გააჩნიათ ავადმყოფური ამბიციები და სურვილი, "სხვების ჯინაზე დარჩნენ და იმუშაონ ინსტიტუტში". კომისიის ასეთი არჩევანი ეჭვქვეშ აყენებს მის კომპეტენტურობას და მიჩნდება აზრი, რომ არჩევანის გაკეთებისას ადგილი ჰქონდა პროტექციას და ტენდენციურობას.

ვფიქრობ, რომ ასეთი არაადექვატური გადაწყვეტილება არის არა გასაუბრების, არამედ საკვლევი საკითხების პრიორიტეტების არასწორად განსაზღვრის და არასასურველი ადამიანების მოცილების სურვილის შედეგი. საინტერესოა რა კრიტერიუმებით აფასებენ საკითხის აქტუალურობას და პრიორიტეტებს აგრარულ უნივერსიტეტში. მსოფლიოში პრიორიტეტული საკითხების ანალიზიდან ჩანს, რომ დაინგრა ძველი სტერეოტიპები და ყველა პროდუქტი განიხილება არა მარტო კვებითი ღირებულების, არამედ სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების თვალსაზრისითაც. ჩაი, თავისთავად წარმოადგენს ფენომენს, რომელიც არის ძვირფასი საკვები და სამკურნალო ელიტარული სასმელი, მას არ სჭირდება გაკეთილშობილება, დანამატი და მისი გამოყენების ერთ-ერთი სწორი ალტერნატიული გზაა სამკურნალო თვისებების გათვალისწინებით ჩაის ბაზაზე სხვადასხვა სახის ფართო მოხმარების და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების მშრალი და თხევადი პროდუქტების დამზადება. ჩვენი სპეციალობა „სუბტროპიკული კულტურების (ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთების და კონსერვების) ტექნოლოგია" უფლებას გვაძლევს ვიმუშაოთ საკითხთა ფართო სპექტრზე. ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკა ძალიან გადახლართულია ერთმანეთს, ამიტომ ზოგიერთისთვის პლუსად, ხოლო ჩვენთვის დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალათ ამ საკითხებით დაინტერესება. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უპრიანი იქნებოდა კომისიის მიერ განხილული ყოფილიყო მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები.

იმედი მქონდა შეიქმნებოდა მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც იმუშევებდა პრიორიტეტულ და აქტუალურ საკითხებზე და მომხმარებელს შესთავაზებდა ეკოლოგიურად სუფთა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ბაზაზე დამზადებულ ფართო მოხმარების, ფუნქციონალური და პოლიფუნქციონალური დანიშნულების (დიაბეტური პროდუქტები, ფიტონციდური ჩაი, დაბალკალორიული ყავის პროდუქტები, სუბტროპიკული ხურმის "კარალიოკი" კომპლექსური გადამუშევების პროდუქტები და სხვა) პროდუქტებს, რომლებიც შესწავლილი იქნებოდა ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით და დააკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული საკითხების კვლევა არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან ხარჯებთან, ხოლო მზა პროდუქტების მისაღებად საკვებით საკმარისია არსებული საკონსერვო ქარხნების, სასმელების ჩამოსასხმელი საამქროების და ფარმაცევტული საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობა. ბოლო მოეღო ყველა ოცნებას, იდეას და სამომავლო გეგმას.

ამ შინაარსის წერილით მივმართე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აგრარულ უნივერსიტეტს და ვთხოვე გამჭვირვალე გაეხადათ კომისიის შეფასებები და კრიტერიუმები და ადგილზე გამოეგზავნათ კომისია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიპასუხეს, (წერილი № 11-2-11/14404 16.11.2011) რომ ისინი არ არიან უფლებამოსილი შეამოწმონ და შეაფასონ საკონკურსო კომისიის მიერ განხორციელებული ქმედება და ადგენს, რომ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია. აგრარული უნივერსიტეტიდან ამ თხოვნაზე გამოხმაურება დღემდე არ ყოფილა.

როცა საუბარია ქვეყნის განვითარების სტრატეგიაზე და საშუალო ასაკის ადამიანების დასაქმებაზე, აგრარული უნივერსიტეტის მესვეურებს მართებდათ მეტი დაფიქრება, ვიდრე სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტებს განაჩენს გამოუტანდნენ და ეკონომიას ნიჭისა და ინტელექტის ხარჯზე გააკეთებდნენ. მოგეხსენებათ ერის სიძლიერე მის ნიჭიერებაშია და რისი განადგურებაც ვერ მოახერხა ათასი ჯურის მტერმა, არ უნდა იქნას ხელყოფილი საკუთარი ხალხის ხელით. მაშ რა უნდა ქნას სოციალურად დაუცველმა არასაპენსიო ასაკის პიროვნებამ? როგორ მოახერხოს რეალიზება ადრე მოწინავე და სახელოვანი ტრადიციების, მაგრამ ამჟამად ისეთ რაიონში,სადაც განადგურებულია ინფრასტრუქტურა და ერთადერთ ნათელ წერტილს წარმოადგენდა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც იყო ძალიან ძლიერი ორგანიზაცია, სადაც ჩატარდა უდიდესი მეცნიერული და პრაქტიკული სამუშაოები და შეიქმნა ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების მეცნიერული საფუძვლები, ეფექტურად ხელმძღვანელობდა ამ დარგის განვითარებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკაში. მიუხედავად ისტორიული ქარტეხილებით გამოწვეული სიძნელეებისა, ინსტიტუტი დღემდე წარმოადგენდა მოქმედ ინტელექტუალურ დაწესებულებას, სადაც მუშავდებოდა ბევრი საინტერესო პროექტი, მაგრამ აგრარული უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული რეფორმის გამო ის გადაიქცა უმოქმედო ორგანიზაციად.

ამ ინსტიტუტს საქართველოში არ ჰქონდა ანალოგი. ნაცვლად კვალიფიციურ მეცნიერთა ტოტალური შემცირებისა, უპრიანი იქნებოდა მისი გაძლიერება და ხელშეწყობა საინტერესო პროექტების განხორციელებაში. ის შეიძლება ყოფილიყო დასაყრდენი რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და არანაირად არ შეიძლებოდა მისი ისეთი სტრუქტურისადმი გადაცემა, რომლისთვისაც ეს ინსტიტუტი არ წარმოადგენდა "ინტერესთა სფეროს" და ნება მიეცათ მისი კომისიისადმი ასე არაკვალიფიციურად და უპასუხისმგებლოდ მოქცეოდა მას. განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყნებში მიუღებელია ადამიანთა ყოველგვარი დისკრიმინაცია. თუ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები მოითხოვს გარკვეული კატეგორიის ხალხის შემცირებას, მათი სოციალური დაცვის მიზნით უნდა მოქმედებდეს სხვა ბერკეტები. თაობათა ცვლა ისედაც ბუნებრივად კანონზომიერი პროცესია და მისი ხელოვნური დაჩქარება და თაობათა იგნორირება უკადრისი საქციელია. უმუშევარი ადამიანების დასაქმება ოზურგეთის რაიონში არ არის ადვილად მოსაგვარებელი, ვინაიდან მიუხედავად დიდი სურვილისა, ამის განსახორციელებლად აუცილებელია რაიონის ინფრასტრუქტის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. რატომ უნდა ედოს ტაბუ ჩაის აღორძინების თემას საქართველოში? როგორ შეიძლება უგულველყოფილი და დავიწყებული იყოს ამჟამად სარეველებით დაფარული ათასობით ჰექტარი ე.წ. "მწვანე ოქრო". სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში ტრადიციულ ჩაის მწარმოებელ და სხვა ქვეყნებშიც ხდება ჩაის დარგის ინტეგრაცია, ხოლო ისეთ ქვეყანაში და კერძოდ ოზურგეთის რაიონში, სადაც არის შესაფერისი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები, ეს დარგი ფაქტიურად განადგურებულია. ვინაიდან დღესდგეობით არ არის სახელმწიფო ნება ჩაის დარგის აღორძინებისა, იმედი მქონდა აგრარული უნივერსიტეტის მესვეურები რეფორმის ჩატარებამდე ადგილზე გაეცნობოდნენ რაიონს, ინსტიტუტს და დასახავდნენ მისი გადარჩენის გზებს, დაინტერესდებოდნენ ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ბაზაზე შექმნილი პროდუქტებით, დაეხმარებოდნენ მეცნიერ ინჟინერ-ტექნოლოგებს ინვესტორების მოძიებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ბიოლოგიური ღირებულების მქონე პროდუქტების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებაში. რა დავაშავეთ ჩვენ „განთავისუფლებული" სტატუსის მქონე ინჟინერ-ტექნოლოგებმა, რომელთათვისაც „საბოლოო ანგარიშსწორებისათვის" ერთი თვის ხელფასის ნაცვლად შეიძლებოდა დაესაბუთებიათ განთავისუფლების მიზეზები.

საინტერესოა როგორ აპირებს აგრარული უნივერსიტეტი ანასეულში პროექტების განხორციელებას, ვინაიდან მას ამისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები არ გააჩნია. მომხრე ვარ რეფორმების, ინოვაციების და მსოფლიო განვითარების ფერხულში ჩაბმის,

ჩემი გულისტკივილი

მაშინ რა დანაშაულის და მიზეზების გამო უნდა ამკრძალვოდა შემეტანა წვლილი საერთო საქმეში და დამეტოვებია სამეცნიერო ასპარეზი სწორედ მაშინ, როცა მქონდა ლაბორატორია და საინტერესო თემატიკა.

იქნებ სჯობდა ჩვენი ე.წ "დაკარგული თაობისათვის", რომელიც აღჭურვილია მეცნიერისათვის აუცილებელი სათანადო საბაზისო განათლებითა და გამოცდილებით, მიეცათ შანსი, რათა შეგვძლებოდა დაკარგული წლების ანაზღაურება და საკუთარი თავის სრულად რეალიზება.

თუ განთავისუფლებული მეცნიერები, რომლებიც არიან სამეცნიერო გრანტების მომპოვებლები და ძირითადი შემსრულებლები არ არიან ღირსეულები, მაშინ რა დამსახურების გამო მიენიჭათ უპირატესობა იმ ადამიანებს, რომელთაც არ გაუმარჯვიათ საგრანტო კონკურსებში. შეიძლება მავანთათვის აგრარული უნივერსიტეტის მიერ ჩვენს ინსტიტუტში განხორციელებული ქმედებები რეფორმირების ჩვეულებრივ პროცესს თუ ოპტიმიზაციას წარმოადგენდეს, მაგრამ სინამდვილეში ეს არის ღირსეულ ადამიანთა აბუჩად აგდება და მათი უფლებების დარღვევა. რეალური სურათის მისაღებად უპრიანი იქნებოდა ჩატარებულიყო საატესტაციო გამოცდები, რომელიც იქნებოდა გამჭვირვალე და მეცნიერებს შეაფასებდა საკუთარი ცოდნის მიხედვით. ვინაიდან გამოცდების ჩაბარება მოითხოვს საფუძვლიან ცოდნას და დიდ ძალისხმევას, შესაძლებელია ყველას არ მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში, რაც თავისთავად გამოიწვევდა გარკვეული კატეგორიის ხალხის შემცირებას.

აგრარული უნივერსიტეტის ცინიზმი ჩვენს მიმართ არც არის გასაკვირი, ვინაიდან ისინი სათანადოდ არ იცნობენ დარგს, რაიონს, ინსტიტუტს, მაშინ როცა პოსტსაბჭოთა სივრცის რესპუბლიკებში დღესაც ახსოვთ ოზურგეთი, ანასეული, ჩვენი ინსტიტუტი, სოხუმი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, რეგიონალური სამეცნიერო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იყო ამ სივრცის წამყვანი მეცნიერებით და ემსახურებოდა ანასეულიდან და სხვა რეგიონებიდან წამოსული საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციების განხილვას, ხოლო უმაღლესი საატესტაციო კომისიის "´ °"-ის მიერ დამტკიცებული დიპლომები ამჟამად საქართველოს განათლებისა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებულია როგორც უცხოეთში მიღებული განათლება (წერილი 045844 28.06.2011).

იქნებ ვინმემ გვითხრას რატომ გაგვათავისუფლეს, რატომ არ გვპასუხობს აგრარული უნივერსიტეტი მიმართვებზე. თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონი არ აძლევს ჩვენი დაცვის საშუალებას, მაშინ რატომ უნდა ერქვას მას მეცნიერების სამინისტრო.

მინდა მივმართო თავისუფალი უნივერსიტეტის და აგრარული უნუვერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ კ.ბენდუქიძეს და ვუთხრა, რომ აგრარული უნივერსიტეტის ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ჩატარებული რეფორმა არის ალოგიკური, არაადეკვატური, არაობიექტური და აუცილებლად მოითხოვს სამართლებრივ შესწავლას.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
დ. ნარსია

თორნიკე თოიძე



წარსულში არასდროს არ მინდა მოგიგონო დედი, ამ წერილს შენ გწერ ჩემო ბუნთულა ანგელოზო. იქნებ წაიკითხო, იქნებ იგრძნო დედის გულისთქმა, ან იქნებ ეგ ყველაფერი მწარე სიზმარი იყო და წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ეს ხომ იმედგაცრუებული დედის აუხდენელი ოცნებაა. ის ხომ შენზე უსაზღვროდ მონატრებული დაგეძებს ყველგან და ყველაფერში. ეძებს ყველაფერ უცნაურ ლამაზს, რაც შენ გაგილამაზებს და დაგიამებს ტანჯულ სულს; ჩემი სამუდამო სევდა და ტკივილი ხარ, რომელიც აღარასოდეს არ განელდება. კი წამოვდექი შენი გულისთვის, შენი სახელის სადიდებლად და გასაცოცხლებლად.

რამდენნაირად მეწვი და მებრალები ჩემო ტკბილო და თბილო. რამდენი უთქმელი გულისტკივილი გვტანჯავს და გვაწუხებს. არ შეშინდე ჩემო პატარავ. სულ შენს გვერდით ვართ. ხან დღე, ხან ღამე. იქნებ შემოაღწიოს შენი დედიკოს ხელების სითბომ. მუდამ გეხვევი, გეალერსები, გკოცნი...მიყვარხარ...

შენი **დედიკო**

ხალხური მთქმელი, მეგობრობის მომღერალი

გურია, როგორც ხალხური სამუსიკო ხელოვნების ოაზისი, სავსეა პირველხარისხოვანი და დაუვიწყარი მოღვაწეებით. მათ შორისაა დიდი ვარლამ სიმონიშვილის ღირსეული მოწაფე არტემ დონაძე.

ბატონ არტემს სამუსიკო ხელოვნებისადმი ლტოლვა მემკვიდრეობით დაჰყვა. ბრწყინვალედ მღეროდნენ მისი წინაპრები, განსაკუთრებით მამა–გერასიმე, რომელთა ხელოვნებამ ადრევე მიიპყრო მათი ნიჭიერი შთამომავლის გულისყური და მშვენიერი ხელოვანი დადგა.

არტემი განსაკუთრებით ისე დაოსტატდა ვარლამ სიმონიშვილის გუნდში, რომ ვარლამის სიკვდილის შემდეგ იგი არტემ ერქომაიშვილთანაც აქტიურად იღვწოდა და 1951 წელს VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზეც გამოიჩინა თავი და სხვა მომღერლებთან ერთად ოლიმპიადის ლაურეატი გახდა. პარალერულად იგი საკოლმეურნეო და სასკოლო ანსამბლებსაც უნარიანად უძღვოდა.

არტემ დონაძე გარდა სიმღერის ჩინებული ცოდნისა, კარგ ლექსებსაც წერდა. ერთ-ერთი ლექსი ისე ფეხბედნიერი აღმოჩნდა, რომ 1936 წელს, მაშინდელმა უზარმაზარი ქვეყნის პირველმა გაზეთმა „პრავდამ“ დაბეჭდა. ამის გარდა მისი ლექსები იბეჭდებოდა უკრაინაშიც, ხოლო რამდენიმე წლის წინ მისმა შვილმა, ასევე ნიჭირმა პიროვნებამ ნოდარ დონაძემ ცალკე წიგნად გამოსცა.

არტემ დონაძის ზოგიერთი ლექსი ისეთ სახეებსაც შეიცავს, რომლებსაც დრო ვერაფერს აკლებს. ასეთია „ნასაკირალი“:

„ლამის წყდიადი ფარავს
მიდამოს
და ბახვისწყალი კოცნის
ნაპირებს,
ფრთხილობს, მზად არის
გურულთა რაზმი,
რომელიც მტერთან შებმას
აპირებს..“

არტემმა კარგი ოჯახი შექმნა. მართალია, იგი ნაადრევად წავიდა საწუთროდან, მაგრამ იმ დროში, რაც მას წუთისოფელმა არგუნა, იმდენი შექმნა, რომ მას დღესაც ხალისით იგონებენ. მისი შთამომავლობა წლების განმავლობაში წარმატებით აგრძელებდნენ ბაბუისა და მამის სამუსიკო ტრადიციებს.

მისმა ერთ-ერთმა შვილმა – ნოდარიმ თბილისში ანზორ ერომაიშვილთან ერთად მიიღო სპეციალური სამუსიკო განათლება და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საკოლმეურნეო და სასკოლო ანსამბლებს, ხოლო მისი საოჯახო ანსამბლი არაერთ ოლიმპიადაზე უსახელებია თავი.

არტემ დონაძის დაბადებიდან 110 წელი გავიდა. მიუხედავად დროთა ცვალებადობისა, მისი შემოქმედება დღესაც ყურადღებას იმსახურებს.

იური სიხარულიძე,
პროფესორი

თალიკო თავბერიძე

წუთისოფლიდან კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი წავიდა.

გარდაიცვალა სკოლაზე, ოჯახზე, საზოგადოებრივ საქმიანობაზე უზომოდ შეყვარებული, უსაზღვრო ენერგიის გამცემი, დაუღალავი, პროფესიის უბადლო მცოდნე, სხვისი სიხარულისა და ტკივილის გამზიარებელი, მე-3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის ღვაწლმოსილი პედაგოგი თალიკო თავბერიძე.

ქალბატონი თალიკო ათეული წლების განმავლობაში უანგაროდ და შესაშური შრომისმოყვარეობით ემსახურებოდა ნორჩების სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

იგი ყოველთვის გამოირჩეოდა ბავშვების უსაზღვრო სიყვარულით. კეთილსინდისიერმა მასწავლებელმა დიდი და ღირსეული გზა განვლო, რამდენი პატარა დააფრთიანა და ნათელ ბილიკზე სავალად მოამზადა. სწორედ მასზეა ნათქვამი: „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.“

ქალბატონი თალიკო სკოლის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და კოლეგებს შორის დამსახურებულად სარგებლობდა ლიდერის ავტორიტეტით. გამუდმებით ზრუნავდა პროფკავშირის წევრების უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. არჩეული იყო პედაგოგთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის საბჭოს წევრად, როგორც აქტიური პროფკავშირელი.

დაუღალავსა და ენერგიულს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ უსაყვარლესი ძმის სიკვდილმა მორალურად გატეხა, ჯანმრთელობამ უღალატა და ჭეშმარიტი მასწავლებელი თავის საქმეს ჩამოაშორა.

მისი ნათელი სახელი არასოდეს წაიშლება აღმზრდელების, კოლეგების და მეგობრების ხსოვნიდან.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული

კოზმან ლაბაძის გახსენება



ხუთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან ჩვენო კოზმან.

ტკივილითა და ცრემლით სავსე. ხუთი წელია ჩვენს გვერდით აღარ ხარ. დაუტოვე სევდა და დარდი შენს ლამაზ ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, სანათესაოს, მეზობლებს. ვერ ვეგუებით ამ მწარე რეალობას, გვაკლია შენი სითბო და სიყვარული, შენი გვერდში ყოფნა ჭირსა და ლხინში, შენი რჩევა-დარიგება, ხალისიანი იუმორი. ხარობდი შენი ტკბილი ოჯახით, დიდის ამბით ელოდებოდი შვილების დაოჯახებას, ბედნიერებას. ამ ლოდინში გიმუხთლა გულმა. ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველივე მოგონებად დარჩა. ნაადრევად წახვედი ამ ქვეყნიდან, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება ისევ. შენი მეუღლე, გამორჩეულად ყურადღებიანი და მშრომელი ადამიანი, როგორც შენ გსურდა, იმ ტრადიციებით უძღვება ოჯახს, ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებს შვილებს. შენი უფროსი ვაჟი ბადრი დაქორწინდა, ოჯახში შემოვიდა რძალი თიკო ბეჟანიძე, რომელმაც სიცოცხლის ხალისი შემოიტანა. მალე ოჯახს ახალი წევრი მოევლინება.

ჩვენ, შენს მეზობლებს მუდამ გვემახსოვრები კეთილშობილი და პატიოსანი ადამიანი სიყვარულით და პატივისცემით მოგიგონებთ, ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გზა გაგვინათოს სასუფეველში, ნათელი ყოფილიყოს შენი საიმქვეყნო სავალი.

შენი **მეზობლები**.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია, მაყვალ ჭეფხოძე, მერი მამულაიშვილი, როზა გოგუაძე, ლელა დვალიშვილი, იამზე კიღურაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნონა ღლონტს უსაყვარლესი ძმისშვილის

რეზო ღლონტის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს მიშა, თამრიკო, ნონა ღლონტების ოჯახებს, შვილისა და ძმისშვილის

რეზო ღლონტის გარდაცვალების გამო.

იყიდება

იატაკის მასალა ერთი კბ. მეტრი. „ქილიშები,“ (6 ც.) სიგრძე 5 მ. ფასი შეთანხმებით

ტელ: (595) 15 00 78; (574) 91 32 43; (სოსო).

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru